ADB

სტრატეგია 2020-ის შეფასება

რეაგირება აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონის გარდაქმნასთან დაკავშირებულ გამოწვევებზე

რეაგირება აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონის გარდაქმნასთან დაკავშირებულ გამოწვევებზე

სტრატეგია 2020-ის შეფასება წარმოადგენს 2013 წლის მაისში აზიის განვითარების ბანკის (აგბ) მმართველთა საბჭოს ყოველწლიურ შეხვედრაზე გამოცხადებული ერთწლიანი პროცესის კულმინაციას.

ანგარიში მიზნად ისახავს აგბ-ის რეგიონებში მუშაობის გაუმჯობესებას, უნარების განვითარებასა და კლიენტების - განვითარებადი წევრი ქვეყნების - უკეთ მომსახურებას.

აგბ-მა ჩაატარა შეფასება, რომლის მიზანი იყო ბანკის რეაგირება აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონის გარდაქმნასთან დაკავშირებულ გამოწვევებზე. აგბ-მა უნდა გააუმჯობესოს ორგანიზაციის შესაბამისობა, ანგარიშვალდებულება და ეფექტურობა. შეფასება აანალიზებს სტრატეგია 2020-ის განხორციელების შედეგად მიღებულ გაკვეთილებსა და გამოცდილებას და აფასებს განვითარებადი წევრი ქვეყნების განვითარების პროცესში არსებულ და პოტენციურ გამოწვევებს. ამ ანალიზსა და შეფასებაზე დაყრდნობით, აღნიშნული შეფასება მოიცავს 10-პუნქტიან პროგრამას მომავალ სტრატეგიულ მიმართულებებზე. ანგარიში მიზნად ისახავს აგბ-ის რეგიონებში მუშაობის გაუმჯობესებას, უნარების განვითარებასა და კლიენტების - განვითარებადი წევრი ქვეყნების - უკეთ მომსახურებას. ანგარიში ასევე განიხილავს, თუ როგორ გახდეს თავად აგბ უფრო ინოვაციური, მრავალმხრივი და ინტეგრირებული, ვინაიდან მისი განვითარებადი წევრი ქვეყნები ხელს უწყობენ აღნიშნულ სამ მიმართულებას მდგრადი ზრდის მისაღწევად და სიღარიბის კვლავ არსებულ გამოწვევებთან გასამკლავებლად.

შეფასება მოიცავდა დისკუსიების რამდენიმე რაუნდს დირექტორთა საბჭოსთან, ასევე განვითარებადი წევრი ქვეყნების ხელისუფლებებისა და კერძო სექტორის და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების მონაწილეობით გამართული რეგიონული სემინარების შედეგებს. აგბ-ის თანამშრომლებმა ასევე შეიტანეს წვლილი და წარმოადგინეს თავიანთი მოსაზრებები შეფასების მომზადების პროცესში. მოწვეულმა რეცენზენტებმა ასევე გაუზიარეს ბანკს თავიანთი მოსაზრებები. დამოუკიდებელი შეფასების დეპარტამენტმა წვლილი შეიტანა სპეციალური შეფასების ანგარიშის მომზადებაში სახელწოდებით: მრავალმხრივი, ინტეგრირებული და მოქნილი: *აგბ-ის სტრატეგია-2020-ის ანგარიში* და მონაწილეობა მიიღეს საბჭოსთან და სხვა წარმომადგენლებთან გამართულ დისკუსიებში.

"წინამდებარე დოკუმენტი ითარგმნა ინგლისურიდან ფართო აუდიტორიისათვის. მიუხედავად იმისა, რომ აზიის განვითარების ბანკმა ძალისხმევა არ დაიშურა თარგმანის სიზუსტის გადამოწმებისათვის, ინგლისური გახლავთ აგბ-ის სამუშაო ენა და მოცემული დოკუმენტის ინგლისური დედანი ერთადერთი ავთენტური (ოფიციალური და ავტორიტეტული) ტექსტია. ციტირებისას ამ დოკუმენტის დედანის ინგლისური ვერსია უნდა იქნას გამოყენებული."

შეფასების შედეგები

შეფასებამ გამოავლინა, რომ აგბ-ის საქმიანობა შეესაბამება სტრატეგია 2020-ის სამ სტრატეგიულ მიზანს: მრავალმხრივ ეკონომიკურ ზრდას, ეკოლოგიურად მდგრად ზრდასა და რეგიონული ინტეგრაციის გაღრმავებას. 2008–2012 წლებში, აგბ-ის საქმიანობის 80%-ზე მეტი განხორციელდა სტრატეგია-2020-ის ხუთ ძირითად სფეროში: ინფრასტრუქტურა, გარემოს დაცვა, რეგიონული თანამშრომლობა და ინტეგრაცია, საფინანსო სექტორის განვითარება და განათლება. ინფრასტრუქტურის სფეროში განხორციელებული საქმიანობა აგბ-ის სამი სტრატეგიული მიზნის განხორციელებაში შეტანილი ძირითადი წვლილი გახლდათ. არაინფრასტრუქტურული საქმიანობის მოცულობა კვლავაც შეზღუდული იყო. მიუხედავად უკანასკნელ წლებში მიღწეული გაუმჯობესებისა, აგბ-ს დასრულებული პროექტების წარმატების კოეფიციენტი უფრო დაბალი იყო, ვიდრე დასახული მიზნები. აუცილებელია აგბ-ს ინსტიტუციონალური ეფექტურობის, მათ შორის, პერსონალის უნარებისა და ბიზნეს პროცესების გაძლიერება.

აზიისა და წყნარი ოკეანის განვითარების პოტენციური გამოწვევების შეფასებისას, აღინიშნა, რომ 2020 წლისათვის რეგიონი, საკარაუდოდ, აღმოფხვრის აბსოლუტურ სიღარიბეს, რომელიც განისაზღვრება როგორც ადამიანთა მიერ დღეში 1.25 აშშ დოლარზე ცხოვრება. თუმცა, სიღარიბის ეს ზღვარი არასაკმარისია ღარიბებისთვის ძირითადი საარსებო მინიმუმის უზრუნველსაყოფად. 1.6 მილიარდზე მეტი ადამიანი აგრძელებს ცხოვრებას დღეში 2 აშშ დოლარზე ნაკლებ თანხაზე და რჩება უაღრესად დაუცველი ხშირი ეკონომიკური, ბუნებრივი და ეკოლოგიური საფრთხეების წინაშე. ამას გარდა, ისინი ასევე ებრძვიან კვებასთან, დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობისა და გენდერული თანასწორობის საკითხებთან დაკავშირებულ პრობლემებს. აზია და წყნარი ოკეანის რეგიონი შემოსავლის მზარდი უთანასწორობისა და ეკონომიკური და სოციალური შესაძლებლობების ხელმისაწვდომობის საფრთხის წინაშე დგას.

ანგარიშის თანახმად სტრატეგია-2020 ძალაში რჩება და რელევანტურია მის ფართო სტრატეგიულ მიმართულებებში - გაუმკლავდეს გარდაქმნის და ტრანსფორმაციის პროცესში მყოფი აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონების განვითარების გამოწვევებს. თუმცადა, რეგიონი სწრაფად იცვლება, რასაც აგბ-მაც უნდა აუწყოს ფეხი.

კვლავ რჩება ინფრასტრუქტურის დიდი დეფიციტი. კლიმატის ცვლილება ემუქრება ზრდის მდგრადობას და მოითხოვს გადაუდებელ ადაპტაციასა და შემარბილებელ ღონისძიებებს. მრავალმა განვითარებადმა წევრმა ქვეყანამ მიაღწია საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნის სტატუსს, ზოგიერთი ამ ქვეყნებს შორის საშუალო შემოსავლის ზედა ზღვარზეც კი არის. მათ გააჩნიათ უკეთესი ინსტიტუციონალური შესაძლებლობები, თუმცა ასევე დგანან განვითარების გამოწვევების, მათ შორის დარჩენილი სიღარიბის აღმოფხვრის, ასაკოვანი მოსახლეობის საჭიროებების, ახალგაზრდებისათვის ღირსეული სამუშაო ადგილების შექმნისა და გარემოს რისკების შემსუბუქების გამოწვევების წინაშე.

სტრატეგიული პრიორიტეტები

ანგარიშის თანახმად სტრატეგია-2020 ძალაში რჩება და რელევანტურია მის ფართო სტრატეგიულ მიმართულებებში - გაუმკლავდეს გარდაქმნის და ტრანსფორმაციის პროცესში მყოფი აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონების განვითარების გამოწვევებს. თუმცადა, რეგიონი სწრაფად იცვლება, რასაც აგბ-მაც უნდა აუწყოს ფეხი. შემდეგი 10 პრიორიტეტი ერთობლიობაში განსაზღვრავს აგბ-ის სტრატეგიულ აქცენტს 2020 წლამდე. პირველი შვიდი პრიორიტეტი მიზნად ისახავს აგბ-ის საქმიანობის გაუმჯობესებისა და ცვალებადი ბიზნეს გარემოს მიმართ ბანკის მოქნილობის ხელშეწყობას. დარჩენილი სამი მიზანი მოწოდებულია გაზარდოს აგბ-ის შესაძლებლობები და ეფექტურობა.

აგბ-ის სტრატეგიული პრიორიტეტები 2014–2020 წლებისათვის: აგბ-ის საქმიანობის აქცენტები

1 ჩართულობის გაღრმავება სიღარიბის შესამცირებლად.

აგბ კვლავაც განაგრძობს რეგიონის სიღარიბისაგან გათავისუფლების დასახული ხედვის განხორციელებას – უკიდურესი სიღარიბის აღმოფხვრა და დაუცველობისა და უთანასწორობის შემცირება – სწრაფი და მრავალმხრივი ეკონომიკური ზრდის ხელშესაწყობად. ინფრასტრუქტურული პროექტები შეჭირვებულ მოსახლეობას ბაზრებს დააკავშირებს და გაზრდის მათ წვდომას სოციალურ მომსახურეობებზე.

აგბ ინფრასტრუქტურულ პროექტებსაც დაუჭერს მხარს, რაც ნაკლებად განვითარებულ სფეროებს სარგებელს მოუტანს და ათასწლეულის განვითარების მიზნების მიღწევას შეუწყობს ხელს. 2020 წლისათვის, აგბ, მისი ფინანსური დახმარების პაკეტის ფარგლებში, განათლების სფეროში 6%-10%-ით, ხოლო ჯანდაცვის სფეროში 3%-5%-ით გაზრდის საქმიანობას. დანახარჯები აღნიშნულ სფეროებში 2008–2012 წლებში შეადგენდა 3%-ს განათლების სფეროსათვის და 2%-ს ჯანმრთელობის სფეროსათვის. აღნიშნული გადაწყვეტილება ხელს შეუწყობს სოციალური დაცვის, ფინანსური ჩართულობისა და ბიზნესის მრავალმხრივ განვითარებას. მმართველობის სისტემებისა და ინსტიტუციონალური შესაძლებლობების მხარდასაჭერად აგბ ხელს შეუწყობს ეფექტური, დროული და არაკორუმპირებული საჯარო მომსახურების გაწევას. და ბოლოს, აგბ დაბალშემოსავლიან და მყიფე, ასევე კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ განვითარებად წევრ ქვეყნებს უფრო მეტ რესურსს მიაწვდის.

2 გარემოს დაცვა და კლიმატის ცვლილება.

მაშინ როდესაც რეგიონი სერიოზული ეკოლოგიური გამოწვევების წინაშე დგას, აგბ გააძლიერებს კლიმატის ცვლილების ადაპტაციის მხარდაჭერას, და შემარბილებელი ღონისძიებების ხელშეწყობას სუფთა ენერგიის, ენერგოეფექტურობისა და მდგრადი ტრანსპორტის ხელშეწყობის გზით. აგბ კიდევ უფრო მეტ ყურადღებას დაუთმობს განვითარების დაგეგმვის, ისევე როგორც პროექტის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში ადაპტაციისა და კლიმატური მდგრადობის გაძლიერებას. ამას გარდა, აგბ გააძლიერებს კატასტროფების რისკის ინტეგრირებულ მართვას ბუნებრივი და ეკოლოგიური საფრთხეებისადმი დაუცველობის შემცირების მიზნით. აღნიშნული ღონისძიებები ხელს შეუწყობს ბუნებრივი რესურსების მენეჯმენტს, ასევე მიწის, ტყის და წყლის რესურსების პოტენციალის დაცვასა და შენარჩუნებას. აგბ ასევე დაუჭერს მხარს განვითარებადი წევრი ქვეყნების წვდომას გლობალური და რეგიონული ფონდებისადმი გარემოსა და კლიმატის ცვლილების სფეროში.

ინფრასტრუქტურული პროექტები შეჭირვებულ მოსახლეობას ბაზრებს დააკავშირებს და გაზრდის მათ წვდომას სოციალურ მომსახურეობებზე. აგბ ინფრასტრუქტურულ პროექტებსაც დაუჭერს მხარს, რაც ნაკლებად განვითარებულ სფეროებს სარგებელს მოუტანს და ათასწლეულის განვითარების მიზნების მიღწევას შეუწყობს ხელს.

3 რეგიონული თანამშრომლობა და ინტეგრაცია.

აგბ გააფართოვებს რეგიონულ კავშირებს ტრანსსასაზღვრო ინფრასტრუქტურული ინვესტიციების ხელშეწყობით და რეგიონული ეკონომიკური ცენტრების ერთმანეთთან დაკავშირებით სავაჭრო და კომერციული შესაძლებლობების ზრდის მიზნით. ბანკის ინვესტიციები მეორე თაობის რეგიონული თანამშრომლობისა და ინტეგრაციის ხელშესაწყობად იქნება გამიზნული, კერძოდ, ვაჭრობის გამარტივებისა და სტანდარტების ჰარმონიზაციის ინიციატივებს, საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესების, ფინანსების ხელმისაწვდომობისა და შესაძლებლობების განვითარების დასაფინანსებლად. აგბ გააძლიერებს ფინანსურ და მონეტარულ თანამშრომლობას რეგიონში უფრო ფართო ფინანსური, ფისკალური და მაკროეკონომიკური სტაბილურობის მისაღწევად. აგბ ასევე ხელს შეუწყობს რეგიონული საზოგადოებრივი საქონლის შექმნას, მათ შორის კლიმატის ცვლილებისა და გადამდები დაავადებების ეფექტიან რეგიონულ კონტროლს.

4 ინფრასტრუქტურის განვითარება.

ინფრასტრუქტურა აგბ-ის საქმიანობის ძირითად აქცენტად რჩება. ბანკი გააძლიერებს ინფრასტრუქტურული პროექტების შედეგებს სექტორული ჩართულობის, ტექნიკური დიზაინისა და განხორციელების გაუმჯობესების გზით. ეს ხელს შეუწყობს ინფრასტრუქტურის მდგრადობას განხორციელებისა და ექსპლუატაციის როლის ზრდის საშუალებით. აგბ შეიმუშავებს ინფრასტრუქტურულ პროექტებს უფრო ფართო მასშტაბით ვიდრე მას ეს საკუთარი რესურსებით ძალუძს და კერძო სექტორის ინვესტიციების უფრო ეფექტურად დაბანდებას მოახდენს. ბანკი ასევე გაატარებს პოლიტიკის, მარეგულირებელ და მმართველობის რეფორმებს საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის მართვის სისტემების გასაუმჯობესებლად და ინფრასტრუქტურის განვითარების სფეროში კერძო სექტორის მზარდი როლის ხელშესაწყობად.

აგბ სისტემატურად გააფართოებს კერძო სექტორის განვითარებისა და საქმიანობის ხელშეწყობას, 2020 წლისათვის დახმარებები ამ სექტორში აგბ-ის წლიური საქმიანობის 50%-მდე გაიზრდება.

აგბ-ს სტრატეგიული პრიორიტეტები 2014–2020 წლებისათვის: ახალი ბიზნეს გარემოსადმი მისადაგება

5 საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნები.

ვინაიდან განვითარებადი წევრი ქვეყნების დიდი უმრავლესობა 2020 წლისათვის საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნის სტატუსს მოიპოვებს, აგბ გააძლიერებს სტრატეგიულ მიდგომას ამ ქვეყნების განვითარების საჭიროებებისადმი შესაბამისი და რელევანტური საქმიანობების გასატარებლად. საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნები კვლავაც აწყდებიან სიღარიბის შემცირებისა (აზიის უკიდურესად ღარიბი მოსახლეობის 90% 2010 წელს ამ ქვეყნებში ცხოვრობდა) და დაუცველობის გამოწვევებს, განსაკუთრებით როდესაც საქმე ეხება შორეულ ადგილებსა და სასაზღვრო ტერიტორიებზე მდებარე ჯგუფებს. მზარდი უთანასწორობა, გარემოს მდგრადობა და მოქნილობა კლიმატის ცვლილების ზეგავლენისადმი ასევე წარმოადგენს ძირითად გამოწვევებს. აგბ ხელს შეუწყობს მრავალმხრივ ზრდას, ინფრასტრუქტურის განვითარებასა და მართვის გაუმჯობესებას საშუალო შემოსავლის ქვედა ზღვარზე მყოფ ქვეყნებში. საშუალო შემოსავლის ზედა ზღვარზე მყოფ ქვეყნებში აგბ გახდება გადაწყვეტილებების ინიციატორი, ფინანსური პარტნიორი და ცოდნისა და ინოვაციის წყარო. ბანკი განაგრძობს რეგიონული საზოგადოებრივი საქონლის შექმნის ხელშეწყობას საშუალო შემოსავლის ქვედა ზღვარზე მყოფ ქვეყნებში. აგბ ასევე განიხილავს და გადახედავს საკუთარ ბიზნეს პროცესებს საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებში ქვეყნის სისტემებთან სამუშაოდ და რეაგირების დროის შესამცირებლად.

6 კერძო სექტორის განვითარება და ოპერაციების გაფართოება.

აგბ სისტემატურად გააფართოებს კერძო სექტორის განვითარების ხელშეწყობას. 2020 წლისათვის დახმარებები აღნიშნულ სფეროში აგბ-ის წლიური საქმიანობის 50% იქნება. ეს გააძლიერებს ბიზნეს გარემოს განვითარებად წევრ ქვეყნებში კერძო ინვესტიციების მხარდასაჭერად. პროექტების დაფინანსების გარდა, აგბ პროექტებს კიდევ უფრო აქტიურად განავითარებს. საჯარო-კერძო პარტნიორობის პროექტების ხელშეწყობის მიზნით, აგბ აუცილებელ მარეგულირებელ და ინსტიტუციონალურ ჩარჩოებს შეიმუშავებს, მხარს დაუჭერს პროექტების განვითარებას და უზრუნველყოფს სახელმწიფო-კერძო სექტორის პარტნიორობის ტრანსაქციათა საკონსულტაციო მომსახურებას. ბანკი ხელს შეუწყობს ინოვაციური საფინანსო გადაწყვეტილებების, მათ შორის კრედიტის გამყარების, გარანტიებისა და ადგილობრივ ვალუტაში კერძო სექტორის პროექტების დაფინანსების ხელშეწყობას. აგბ განაგრძობს ბიზნეს პროცესების ხელშეწყობას, კერძოდ კი, კერძო სექტორის უფრო მცირე ტრანზაქციების ხელშეწყობას, რაც მნიშვნელოვან ზეგავლენას იქონიებს განვითარებაზე, თუმცადა შეინარჩუნებს ასოცირებულ უფრო მაღალ რისკებს და ხარჯებს.

7 ცოდნასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები.

“ერთიანი აგბ” მიდგომა იქნება შემუშავებული აგბ-ის ყველა განყოფილებისათვის რათა მათ ერთად იმუშაონ ცოდნასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაზე.

მუდმივი წარმომადგენლობები მოიძიებენ განვითარებად წევრ ქვეყნებთან ცოდნის სფეროში პარტნიორობის და დიალოგის შესაძლებლობებს და მოახდენენ აგბ-ის ხელშეწყობის კოორდინაციას. ცოდნის საქმიანობისადმი შესაბამისობის უზრუნველსაყოფად აგბ-ის შესაბამისი სტრუქტურები უფრო აქტიურად ჩაერთვებიან ცოდნის პროდუქტებთან დაკავშირებული პროექტების შემუშავებისა და მომზადების პროცესში. მოხდება საინფორმაციო ტექნოლოგიური სისტემების უფრო ეფექტურად გამოყენება ცოდნის პროდუქტის და მონაცემთა შენახვის, აღდგენისა და გავრცელების მიზნით. აგბ წამყვან როლს ითამაშებს სამხრეთ-სამხრეთის ცოდნის გაზიარებაში. აგბ უფრო მეტ რესურსს გამოყოფს ცოდნის პროდუქტების შექმნის სამუშაოებისათვის. ცოდნასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები, სხვა სტრატეგიულ პრიორიტეტებთან ერთად, ხელს შეუწყობს განვითარებად წევრ ქვეყნებში ინოვაციური გადაწყვეტილებებისა და სერვისის განვითარებას.

აგბ-ს სტრატეგიული პრიორიტეტები 2014–2020 წლებისათვის: აგბ-ს შესაძლებლობებისა და ეფექტურობის შემდგომი განვითარება

8

ფინანსური რესურსები და თანამშრომლობა. რეგიონს კვლავაც ესაჭიროება განვითარების ფართომასშტაბიანი დაფინანსება. აგბ ვერ შეინარჩუნებს რელევანტურობას გარკვეული მასშტაბის ოპერაციების სათანადოდ ფინანსური რესურსებით ხელშეწყობის გარეშე. აგბ გაზრდის საკუთარი კრედიტების მოცულობას, მათ შორის, აზიის განვითარების ფონდის საკრედიტო ოპერაციების ჩვეულებრივი ფულადი რესურსების ბალანსთან გაერთიანების მხედველობაში მიღებით. ამას გარდა, აგბ საკუთარ რესურსებს თანადაფინანსებას შეუსაბამებს სტიმულის გაძლიერებისა და პროცედურების გამარტივების გზით. აგბ განაგრძობს მრავალმხრივ და ორმხრივ ინსტიტუტებთან, კერძო სექტორთან და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან პარტნიორობის გაძლიერებას, რათა შექმნას ზემოქმედების დამატებითი რესურსები და მოახდინოს ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები უფრო აქტიურად ჩაერთვებიან პროექტების შემუშავებასა და განხორციელებაში და პროექტის საქმიანობებისა და შედეგების მონიტორინგში.

9

აგბ-ში ფულისთვის ღირებულების მინიჭება. აგბ შეეცდება გაზარდოს რენტაბელობა, ეფექტიანობა და ინსტიტუციონალური ეკონომიკა. პროექტის უკეთ განხორციელების მიზნით, მოხდება ბიზნეს პროცესების - მათ შორის შესყიდვების სისტემის - რეფორმირება და რაციონალიზაცია. ეს არა მხოლოდ ხელს შეუწყობს აგბ-ის ეფექტიანობის ზრდას, არამედ ასევე შეუმსუბუქებს ტვირთს კლიენტებსა და პოტენციურ კონტრაქტორებს, რაც აგბ-ს უფრო მიმზიდველ პარტნიორად აქცევს. მიმდინარე საქმიანობის შესრულება, მათ შორის ხარჯები, გათვალისწინებული იქნება რესურსების გადანაწილებისას.

მოხდება აგბ-ის შიდა საინფორმაციო ტექნოლოგიური სისტემების გაძლიერება ბიზნეს პროცესების შემდგომი გამარტივებისა და ხელშეწყობის მიზნით. აგბ უფრო სისტემატიურად გამოიყენებს შედეგების სტრუქტურას საქმიანობისა და ინსტიტუციონალური მიდგომის კორპორატიულ, ქვეყნის და პროექტის დონეზე შეფასებისა და მონიტორინგისათვის.

პროექტის უკეთ განხორციელების მიზნით, მოხდება ბიზნეს პროცესების - მათ შორის შესყიდვების სისტემის - რეფორმირება და რაციონალიზაცია.

10 ორგანიზება ახალ გამოწვევებთან გამკლავების მიზნით

აგბ განაგრძობს თანამშრომლების უნარების, სტიმულირებისა და ინსტიტუციონალური მექანიზმების სრულფასოვან განვითარებას, რათა გახდეს უფრო დინამიური, მოქნილი, და ინოვაციური ინსტიტუტი. აგბ განახორციელებს პერსონალის სტრატეგიული რეკრუტირების პროგრამას, რათა სწრაფად აღმოიფხვრას კადრების კრიტიკული დეფიციტი. აგბ უზრუნველყოფს ტექნიკური გამოცდილების მქონე კადრების მოზიდვას, შესაბამის სექტორებში ექსპერტთა დასასაქმებლად. აღსანიშნავია ისიც, რომ ბანკი დააწინაურებს ტექნიკური გამოცდილებისა და ძლიერი მენეჯერული უნარების მქონე თანამშრომლებს მმართველობის უმაღლეს თანამდებობებზე. შედეგისათვის, კლიენტზე ორიენტირებისათვის, ინოვაციისათვის, ცოდნისათვის და რესურსების ზემოქმედებისათვის აგბ უფრო მეტ თანამშრომელს შესთავაზებს წახალისების სხვადასხვა ფორმებს. აგბ უფრო მეტ ყურადღებას გაამახვილებს გრძელვადიან სექტორულ ჩართულობასა და ტექნიკურ ექსპერტიზაზე, რაც საფუძვლიანი ანალიტიკური მუშაობით გამყარდება. დეპარტამენტებსა და ოფისებს შორის უნარების გაზიარება ხელს შეუწყობს "ერთიანი აგბ" მიდგომას. მოხდება მუდმივი წარმომადგენლობების გაძლიერება მეტი უფლებამოსილებისა და მანდატის მინიჭებით. ადგილობრივი თანამშრომლები ბანკის საქმიანობაში დიდ როლს ითამაშებენ.

აგბ მოამზადებს სამოქმედო გეგმას შეფასების ანგარიშში ჩამოყალიბებული სტრატეგიული პრიორიტეტების განხორციელების მიზნით. აგბ ასევე განაახლებს კორპორატიული შედეგების სტრუქტურას ბანკის სტრატეგიული პრიორიტეტების პროგრესის მონიტორინგისა და ანგარიშგებისათვის.

აზიის განვითარების ბანკის შესახებ

აგბ ხედვა - სიღარიბისაგან თავისუფალი აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონი. ბანკის მისიაა დაეხმაროს თავის წევრ განვითარებად ქვეყნებს სიღარიბის დაძლევასა და საკუთარი ხალხის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაში. მიუხედავად იმისა, რომ ამ კუთხით წარმატებები მიღწეულია რეგიონში, იგი კვლავ რჩება ადგილად, სადაც მსოფლიოს ღარიბი მოსახლეობის დაახლოებით ორი მესამედი ცხოვრობს, ანუ, 1.6 მილიარდი ადამიანი დღეში 2 აშშ დოლარზე ნაკლებს, ხოლო 733 მილიონი ადამიანი დღეში 1.25 აშშ დოლარზე ნაკლებს მოიხმარს.

აგბ ემხრობა სიღარიბის შემცირებას მრავალმხრივი ეკონომიკური ზრდის, ეკოლოგიურად მდგრადი განვითარებისა და რეგიონული ინტეგრაციის გაღრმავების გზით. ბანკის სათავო ოფისი მანილაში, ფილიპინებზე მდებარეობს და 67 წევრ ქვეყანას აერთიანებს საიდანაც 48 აღნიშნული რეგიონის წარმომადგენელია. აგბ-ის წევრი განვითარებადი ქვეყნების ხელშეწყობის მთავარი ინსტრუმენტებია: პოლიტიკური დიალოგი, სესხები, ინვესტიციები კაპიტალში, გარანტიები, გრანტები და ტექნიკური ხელშეწყობა.

© აზიის განვითარების ბანკი
პუბლიკაციის ნომერი ARM146598-2 აპრილი 2014
დაბეჭდილია გადამუშავებულ ქაღალდზე